ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 1 ნოემბრის სხდომის

ოქმი #8

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 1 ნოემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 34 წევრი, სხდომას ესწრებოდა 22 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ. ტრაპაიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თამარ ჭელიძე და გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. თსუ-ში ახალი სახელმძღვანელოს შექმნის, თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის შედეგების დამტკიცება;
2. იმპაქტ-ფაქტორის მქონე სტატიების ანაზღაურების შესახებ;
3. ცვლილება საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში;
4. მაგისტრანტებისთვის საუნივერსიტეტო დაფინანსების განაწილების წესი;
5. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი - თსუ-ში ახალი სახელმძღვანელოს შექმნის, თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის შედეგების დამტკიცება. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ სიტყვა გადასცა ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული /განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის კომისიის თავმჯდომარეს, ასოცირებულ პროფესორ თამარ ჭელიძეს. ქალბატონმა თამარმა საბჭოს წევრებს გააცნო კომისიის გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ კონკურსზე წარმოდგენილ სახელმძღვანელოს „ბიოლოგიის შესავალი", ავტორები: პროფესორი დიანა ძიძიგური, პროფესორი მაკა მურვანიძე, ასოცირებული პროფესორი თინათინ ჯოხაძე, მიეცა რეკომენდაცია დასაბეჭდად. ამჟამად აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინა ფაკულტეტის საბჭოს (იხ. დანართები 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ლ.მაჭავარიანმა, ა.შენგელაიამ, პ.ბაბილუამ, გ.ქუთელიამ, ნ.შათაშვილმა, დ.ძიძიგურმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული /განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის კომისიის შედეგების დამტკიცებას.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს მიერ შერჩეული სახელმძღვანელოს შესახებ - სახელმძღვანელო „ბიოლოგიის შესავალი", ავტორები: პროფესორი დიანა ძიძიგური, პროფესორი მაკა მურვანიძე, ასოცირებული პროფესორი თინათინ ჯოხაძე, ინფორმაცია მიეწოდოს აკადემიური საბჭოს.

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი - იმპაქტ ფაქტორის მქონე სტატიების ანაზღაურების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ. ტრაპაიძემ. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტის "შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების" მუხლში გათვალისწინებულია თანხა ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ ფაქტორიანი სტატიების ავტორებზე დამატებითი ანაზღაურების გასაცემად. ავტორების სია წინასწარ დაეგზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 2).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ა.შენგელაიამ, ნ.შათაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი იმპაქტ ფაქტორის მქონე სტატიებზე სახელფასო დანამატის გაცემის შესახებ, წარმოდგენილი სიის მიხედვით (იხ. დანართი 2).

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭო ადგენს, რომ ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ ფაქტორის მქონე ერთ სტატიაზე გასაცემი თანხა Q1-ის რანჟირებით განისაზღვროს 3000 ლარით, ხოლო სხვა იმპაქტ ფატორიანი სტატიები - 2500 ლარით, ამასთან, ერთ აკადემიურ პერსონალზე დაფინანსდეს 1 სტატია თანდართული სიის შესაბამისად. საფაკულტეტო დაფინანსების თანხა (სულ 79 500 ლარის ოდენობით) გაიცეს ფაკულტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან (სია იხ. დანართი 2).

3. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე საკითხი - ცვლილება საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით მოხდა ამავე დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლის ნათელა არჩვაძის ჩანაცვლება ასოცირებული პროფესორით გელა ბესიაშვილით (იხ. დანართი 3). შესაბამისად, ცვლილება უნდა შევიდეს საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ა.შენგელაიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში შევიდეს ცვლილება და ასოც. პროფ. ნათელა არჩვაძე ჩანაცვლდეს ასოც. პროფ. გელა ბესიაშვილით.

4. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - მაგისტრანტებისთვის საუნივერსიტეტო დაფინანსების განაწილების წესი. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ. მან აღნიშნა, რომ დღის წესრიგში დადგა საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხის განაწილების წესის დაზუსტების საკითხი. შესაბამისად, შემუშავებულ იქნა ახალი წესი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა მ.ხაჩიძემ, ა.გამყრელიძემ, ნ.შათაშვილმა, გ.სირბილაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საუნივერსიტეტო დაფინანსების განაწილების ახალი წესის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო დაფინანსების განაწილების ახალი წესი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხა განაწილდეს მაგისტრატურის აქტიური სტატუსის მქონე პირველსემესტრელ და იმ მაღალსემესტრელ სტუდენტებზე, რომელთა გასულ სემესტრში მიღებული შეფასების საშუალო არითმეტიკული ქულა მეტია ან ტოლია სემესტრულ საშუალო ქულაზე;
- საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხა პირველსემესტრელ-თათვის და მაღალსემესტრელთათვის გაიყოს დასაფინანსებელთა რაოდენობის პროპორციულად;
- პირველსემესტრელთა დაფინანსება მოხდეს თანაბარი თანხით;
- მაღალსემესტრელი სტუდენტების დაფინანსება მოხდეს გასულ სემესტრში მიღებული შეფასების საშუალო არითმეტიკული ქულის წილის შესაბამისად.

5. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეხუთე - მიმდინარე საკითხი. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ წარმოადგინა ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის ლაშა გიუნაშვილის თემის სათაურის ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის ლაშა გიუნაშვილის თემის სათაურის ცვლილების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: ცვლილება დამტკიცებულია ერთხმად.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა ი.ხუციშვილმა.

დაადგინეს: დამტკიცდეს ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის ლაშა გიუნაშვილის თემის სათაურის ცვლილება. კერძოდ, ძველი სათაური "ზოგიერთი წამლის ენანტიომერული ნარევის დაყოფის შესწავლა ზეკრიტიკული ქრომატოგრაფიული მეთოდის გამოყენებით" შეიცვალოს ახალი სათაურით "ზოგიერთი

ახალი ფსიქოტროპული საშუალების ენანტიოსელექციური ანალიზის მეთოდების დამუშავება სითხური ქრომატოგრაფია-მასსპექტრომეტრიის გამოყენებით".
ხელმძღვანელი პროფ. ბეჟან ჭანკვეტაძე

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი